ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6891844

ნომერი: AR11014819

თარიღი : 08.02.2024

გაცემის თარიღი : 19.02.2024

გაცნობის თარიღი : 19.02.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მინდია შეთეკაური პ/ნ 01001020982
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 34, ბინა 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 თებერვალს №AR11014819 განცხადებით მომართა მინდია შეთეკაურმა და მოითხოვა 2023 წლის 29 დეკემბრის №6828718 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
2024 წლის 16 თებერვლის განმეორებითი განცხადებით, განმცხადებელმა მოითხოვა 2024 წლის 08 თებერვლის

№AR11014819 განცხადების განუხილველად დატოვება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2024 წლის 08 თებერვლის №AR11014819 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.